ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 2022 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება

Advania Sverige AB and Kammarkollegiet v Dustin Sverige AB, Case C-461/20; ECLI:EU:C:2022:72

მნიშვნელოვანი ამონარიდი გადაწყვეტილებიდან:

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო (CJEU) განმარტავს, **შეიძლება თუ არა საჯარო შესყიდვის ხელშეკრულების გადაცემა სხვა მიმწოდებლისთვის ტენდერის თავიდან გამოცხადების გარეშე, როდესაც თავდაპირველი მიმწოდებელი ხდება გადახდისუუნარო.** სასამართლო ხაზს უსვამს, რომ **ზოგადად, ახალი მიმწოდებლის ჩანაცვლება არსებით ცვლილებად ითვლება და საჭიროებს ახალ შესყიდვის პროცედურას,** თუმცა იმ შემთხვევაში, **როდესაც გადახდისუუნარობის გამო თავდაპირველი მიმწოდებელი თავის მთლიან ან ნაწილობრივ უფლებამონაცვლეობას გადასცემს სხვა მიმწოდებელს, ასეთ დროს შეიძლება საჯარო შესყიდვის ხელშეკრულების გადაცემა სხვა მიმწოდებლისთვის ახალი შესყიდვის პროცედურის გარეშე.**

„18 […] პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, იმ კონტრაქტორის ახალი კონტრაქტორით ჩანაცვლება, რომელსაც ხელშეკრულება თავდაპირველად გაუფორმა შემსყიდველმა ორგანიზაციამ, უნდა ჩაითვალოს მოცემული საჯარო ხელშეკრულების არსებითი პირობის ცვლილებად და, შესაბამისად, ხელშეკრულების არსებით ცვლილებად, რაც მოითხოვს ახალი შესყიდვის პროცედურის ჩატარებას ამ შეცვლილი ხელშეკრულების მიმართ, გამჭვირვალობისა და თანასწორი მოპყრობის პრინციპების შესაბამისად, რაც მრავალ წევრ სახელმწიფოში საფუძვლად უდევს პოტენციურად დაინტერესებულ კანდიდატებს შორის კონკურენციის უზრუნველყოფის ვალდებულებას. აღნიშნული დებულება სისტემატიზებულია დირექტივის 2014/24 72(4)(d)-ე მუხლში.“

„19 სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარეობს, რომ თანაბარი მოპყრობის პრინციპი და მისგან გამომდინარე გამჭვირვალობის ვალდებულება გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ საჯარო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, შემსყიდველმა ორგანიზაციამ და გამარჯვებულმა პრეტენდენტმა შეცვალონ ამ ხელშეკრულების დებულებები ისე, რომ ეს დებულებები არსებითად განსხვავდებოდეს თავდაპირველი ხელშეკრულების დებულებებისგან … […].“

„20 **გამონაკლისის სახით,** აღნიშნული **დირექტივის 72(1)(d)(ii)-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ ახალმა კონტრაქტორმა შეიძლება თავდაპირველი კონტრაქტორი, რომელსაც შემსყიდველმა ორგანიზაციამ თავდაპირველად გაუფორმა ხელშეკრულება, ახალი შესყიდვის პროცედურის გარეშე შეცვალოს იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს მთლიან ან ნაწილობრივ უფლებამონაცვლეობას** თავდაპირველი კონტრაქტორის პოზიციაზე, **რაც გამოწვეულია კომპანიის რესტრუქტურიზაციით, მათ შორის შერწყმით, შეძენით ან გადახდისუუნარობით,** იმ სხვა ეკონომიკური ოპერატორის მიერ, რომელიც აკმაყოფილებს თავდაპირველად დადგენილ ხარისხობრივი შერჩევის კრიტერიუმებს **იმ პირობით, თუ ეს არ გამოიწვევს ხელშეკრულებაში სხვა არსებითი ცვლილებების შეტანას და მიზნად არ ისახავს ამ დირექტივის გამოყენებისთვის გვერდის ავლას.“**

„21 შესაბამისად, აღნიშნული მუხლის ფორმულირების მიხედვით აშკარაა, რომ იგი უშვებს ასეთ გამონაკლისს, მათ შორის, იმ გარემოებაში, როდესაც **ყოფილი კონტრაქტორის ჩანაცვლება გამოწვეულია**

მთლიანი ან ნაწილობრივი უფლებამონაცვლეობით, რაც ხდება კომპანიის რესტრუქტურიზაციის შედეგად, განსაკუთრებით, გადახდისუუნარობის შემთხვევაში.“

„22 მოცემულ საქმეში, განმხილველი სასამართლო ეჭვქვეშ აყენებს, დაკმაყოფილებულია თუ არა გადახდისუუნარობის შემდეგად თავდაპირველი კონტრაქტორის მთლიანი ან ნაწილობრივი უფლებამონაცვლეობის პირობა იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი კონტრაქტორი საკუთარ თავზე იღებს მხოლოდ შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადებული ჩარჩოშეთანხმებიდან გამომდინარე უფლებებსა და ვალდებულებებს და არ იწყებს თავდაპირველი კონტრაქტორის ამავე ჩარჩოშეთანხმებით გათვალისწინებულ საქმიანობას მთლიანად ან ნაწილობრივ.“

„23 აღნიშნულთან დაკავშირებით, რაც შეეხება დირექტივის 2014/24 72(1)(d)(ii)-ე მუხლის ფორმულირებას, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ იმ კონტრაქტორის შეცვლა, რომელსაც შემსყიდველმა ორგანიზაციამ თავდაპირველად გაუფორმა ხელშეკრულება, დაშვებულია მხოლოდ „თავდაპირველი კონტრაქტორის მთლიანი ან ნაწილობრივი უფლებამონაცვლეობის შედეგად“. აქედან გამომდინარეობს, რომ **აღნიშნული უფლებამონაცვლეობა შეიძლება მოიცავდეს ახალი კონტრაქტორის მიერ თავდაპირველი კონტრაქტორის აქტივების მთლიანად ან მხოლოდ ნაწილობრივ მიღებას და შესაბამისად**, როგორც გენერალურმა ადვოკატმა აღნიშნა თავისი მოსაზრების 43-ე პუნქტში, **შეიძლება მოიცავდეს მხოლოდ საჯარო ხელშეკრულების ან ჩარჩოშეთანხმების გადაცემას, რომელიც შეადგენს თავდაპირველი კონტრაქტორის აქტივებს.“**

[...]

მოკლე მიმოხილვა:

დირექტივის 2014/24/EU 72-ე მუხლი წარმოადგენს მნიშვნელოვან მექანიზმს, რომლითაც იზღუდება უკვე არსებულ საჯარო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა. თუმცა, როგორც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) გადაწყვეტილება ადასტურებს, **არსებობს სამართლებრივი სივრცე იმისთვის, რომ გარკვეულ პირობებში, მიმწოდებელი ჩანაცვლდეს ახალი ეკონომიკური ოპერატორით ახალი ტენდერის ჩატარების გარეშე.** აღნიშნული საქმე ეხებოდა დირექტივის 2014/24/EU 72(1)(d)(ii)-ე მუხლის ინტერპრეტაციას, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა პირობებში შეიძლება საჯარო შესყიდვის ხელშეკრულების გადაცემა ახალი მიმწოდებლისთვის ახალი შესყიდვის პროცედურის გარეშე. აღნიშნული გადაწყვეტილება ქმნის სამართლებრივ განმარტებას, რომ **ხელშეკრულების გადაცემა გადახდისუუნარობის პროცესში შესაძლებელია, თუ ახალი მიმწოდებელი იკავებს თავდაპირველი მიმწოდებლის ადგილს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით, თუმცა აუცილებელია, რომ ცვლილებამ არ შელახოს ტენდერის გამჭვირვალობის, თანასწორობისა და კონკურენციის პრინციპები.**

ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების XVI-B XVI-C XVI-H დანართები
ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის დირექტივა 2014/24/EU „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომელიც აუქმებს დირექტივას 2004/18/EC“
ევროკავშირის დებულება	დირექტივის 2014/24/EU 71(1)(d)(ii)-ე მუხლი
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	„საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 67(1)(გ)-ე მუხლი *(სარეგისტრაციო კოდი: 040090000.05.001.020812; 02/04/2025 კონსოლიდირებული ვერსია)*
საკვანძო ტერმინი	**შესყიდვის ხელშეკრულებაში/ჩარჩოშეთანხმებაში ცვლილების შეტანა**
CJEU-ს პრეცედენტული სამართალი	*2022 წლის 3 თებერვლის სასამართლო გადაწყვეტილება, Advania Sverige AB and Kammarkollegiet v Dustin Sverige AB, ECLI:EU:C:2022:72*

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე.

ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს. ანალიზის სიზუსტე, სისრულე და გამოყენებადობა უნდა გადამოწმდეს შესაბამის იურიდიულ პროფესიონალებთან და არ უნდა ჩაითვალოს იურიდიულ რჩევად.